

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს
ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები	5

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.



**Building a better
working world**

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



Building a better
working world

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 8 აგვისტო

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	5	789,080	804,828
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(620,498)	(626,363)
საერთო მოგება		168,582	178,465
საოპერაციო ხარჯები	7	(180,504)	(163,012)
საოპერაციო მოგება		(11,922)	15,453
ფინანსური შემოსავალი	8	2,593	2,097
ფინანსური დანახარჯები	8	(30,781)	(11,880)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები)		(28,188)	(9,783)
დასაბეგრი (ზარალი)/მოგება		(40,110)	5,670
მოგების გადასახადის ხარჯი	9	5,469	(5,469)
წლის (ზარალი)/მოგება		(34,641)	201
სხვა სრული შემოსავალი			
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირება არ მოხდება</i>			
<i>გადაფასების შემოსულობა აქტუარულ დაშვებებში</i>			
<i>შესული ცვლილებების შედეგად</i>			
		24	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		24	–
წლის (ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		(34,617)	201


შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10	67,720	76,420
აქტივის გამოყენების უფლება	17	8,297	9,991
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		627	2,044
		76,644	88,455
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	81,857	84,488
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	12	8,435	7,328
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	56,771	63,493
		147,063	155,309
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	15	–	209,415
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	185,393	190,736
ანარიცხები		278	2,543
მოგების გადასახადის დავალიანება	9	–	5,469
საიჯარო ვალდებულება	17	4,804	4,624
		190,475	412,787
წმინდა მოკლევადიანი ვალდებულებები		43,602	257,478
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		239,148	–
ანარიცხები თანამშრომლების შრომითი საქმიანობის		1,021	989
შეწყვეტის გასამრჯელოებისთვის		–	–
საიჯარო ვალდებულება	17	4,635	6,943
		244,804	7,932
წმინდა ვალდებულებები		211,572	176,955
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	4,876	4,876
დაგროვილი ზარალი		(216,448)	(181,831)
სულ საკუთარი კაპიტალი		(211,572)	(176,955)

ეს ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 8 აგვისტოს:


გრიგოლ ჩიქარიშვილი
ფინანსური მენეჯერი


დავით ჩიქაშაძე
გენერალური მენეჯერი

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10	67,720	76,420
აქტივის გამოყენების უფლება	17	8,297	9,991
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		627	2,044
		76,644	88,455
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	81,857	84,488
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	12	8,435	7,328
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	56,771	63,493
		147,063	155,309
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	15	–	209,415
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	185,393	190,736
ანარიცხები		278	2,543
მოგების გადასახადის დავალიანება	9	–	5,469
საიჯარო ვალდებულება	17	4,804	4,624
		190,475	412,787
წმინდა მოკლევადიანი ვალდებულებები		43,602	257,478
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		239,148	–
ანარიცხები თანამშრომლების შრომითი საქმიანობის		1,021	989
შეწყვეტის გასამრჯელოებისთვის			
საიჯარო ვალდებულება	17	4,635	6,943
		244,804	7,932
წმინდა ვალდებულებები		211,572	176,955
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	4,876	4,876
დაგროვილი ზარალი		(216,448)	(181,831)
სულ საკუთარი კაპიტალი		(211,572)	(176,955)

ეს ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 8 აგვისტოს:

გრიგოლ წიქარიშვილი
ფინანსური მენეჯერი

დავით ქარქაშაძე
გენერალური მენეჯერი

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2022 წ.	4,876	(182,032)	(177,156)
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი			
წლის წმინდა მოგება	–	201	201
სულ წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი	–	201	201
31 დეკემბერი, 2023 წ.	4,876	(181,831)	(176,955)
წლის (ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი			
წლის ზარალი	–	(34,641)	(34,641)
სხვა სრული შემოსავალი	–	24	24
სულ წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი	–	(34,617)	(34,617)
31 დეკემბერი, 2024 წ.	4,876	(216,448)	(211,572)

(ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
დასაბეგრი მოგება		(40,110)	5,670
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 17	26,576	21,477
ფინანსური შემოსავალი	8	(2,593)	(2,097)
ფინანსური დანახარჯები	8	19,460	10,716
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		11,343	756
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		2,160	436
ცვლილებები თანამშრომლების შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოებში		56	77
		16,892	37,035
<i>ცვლილება შემდეგ მუხლებში:</i>			
მარაგები		2,631	(11,058)
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		(1,107)	(2,031)
რეკლასიფიცირებული დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებსა და ნასესხებ სახსრებში	15	41,484	39,455
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, და ანარიცხები		(7,608)	(5,520)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		52,292	57,881
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	17	(979)	(1,070)
საბანკო ოვერდრაფტებზე გადახდილი პროცენტი		(54)	(134)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		51,259	56,677
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(13,888)	(21,050)
მიღებული პროცენტი		2,593	2,097
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,295)	(18,953)
საფინანსო საქმიანობა			
სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(40,953)	(16,022)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	17	(5,166)	(4,258)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(46,119)	(20,280)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(6,155)	17,444
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	63,493	46,534
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(567)	(485)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	56,771	63,493

არსებითი არაფულადი ოპერაციები

არსებითი არაფულადი ოპერაციები 2024 წელსა და 2023 წელს წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

1. ანგარიშვალდებული ერთეული

(ა) სამართლებრივი ფორმა და საქმიანობა

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) 2011 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 404923749. კომპანიის იურიდიული მისამართია: სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჰიპერმარკეტების, სუპერმარკეტებისა და არასპეციალიზებული მაღაზიების ქსელის ოპერირება და მართვა საქართველოში. 2012 წლის სექტემბერში საქართველოში, თბილისში, კომპანიამ გახსნა პირველი „კარფურის“ ჰიპერმარკეტი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ამუშავებდა ექვს ჰიპერმარკეტს, ცხრამეტ სუპერმარკეტსა და სამოცდათორმეტ არასპეციალიზებულ მაღაზიას (2023 წ.: ექვსი ჰიპერმარკეტი, თვრამეტი სუპერმარკეტი და სამოცდათორმეტი არასპეციალიზებული მაღაზია). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 2,725 ადამიანი (2023 წ.: 2,917).

კომპანია არის შვილობილი საწარმო შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს“-ისა (შემდგომში „მშობელი საწარმო“), რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%-ს ფლობს. კომპანიის დაფინანსების უმეტესი ნაწილი მიიღება მშობელი საწარმოსგან და საკრედიტო დავალიანება იფარება მშობელი საწარმოს მიმართ, რომლის სათავეშიც დგას შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ რითეილი“ (შემდგომში „მფლობელი ჯგუფი“). ამის გამო კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია მფლობელთა ჯგუფზე, რომელსაც სათავეში უდგას შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ რითეილი“. ამასთან, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მფლობელთა ჯგუფის მოთხოვნებთან. მფლობელთა ჯგუფის საბოლოო ჰოლდინგური კომპანია არის შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ კაპიტალი“, რომლის საბოლოო მფლობელია მაჯიდ ალ ფუტაიმის ოჯახის 9 წევრი, ხოლო საკონტროლო წილის მფლობელია თარიქ ალ ფუტაიმი. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

(ბ) ბიზნესგარემო საქართველოში

კომპანიის საქმიანობა ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული. შესაბამისად, კომპანიაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

ეს ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ქვემოთ მოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, კომპანიამ აღრიცხა 34,641 ლარის წმინდა ზარალი (2023 წ.: 201 ლარის წმინდა მოგება) და მშობელი საწარმოს ნასესხები სახსრების დაფარვის ვადების გადახედვით გამოწვეული მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად (მე-15 შენიშვნა), წმინდა მოკლევადიანი ვალდებულებები გაუტოლდა 43,412 ლარს (2023 წ.: 257,478 ლარი). 2024 წელს კომპანიის ზარალი განაპირობა როგორც საერთო მოგების შემცირებამ, ისე საოპერაციო ხარჯების, კერძოდ თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯებისა და კომპანიის შიდა გადანაწილებული ხარჯების ზრდამ (იხ. ასევე მე-7 შენიშვნა), ასევე საპროცენტო ხარჯის გაზრდამ, რაც გამოიწვია მშობელი საწარმოს ნასესხები სახსრების მოდიფიცირებებმა და საკუროსო სხვაობით განპირობებულმა ზარალმა 11,321 ლარის ოდენობით, როცა იგივე მაჩვენებელი 2023 წელს 1,164 ლარი იყო (მე-8 შენიშვნა).

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა ფულადი ნაკადების პროგნოზი ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12-თვიანი პერიოდისთვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კომპანიას აქვს საკმარისი ფულადი სახსრები, რომ ვადის მოსვლისთანავე დაფაროს თავისი ვალდებულებები ამ პერიოდის განმავლობაში. ასეთი პროგნოზები ეყრდნობა იმას, რომ კომპანიის მშობელი საწარმო – შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს“ – არ მოითხოვს მის მიმართ კომპანიის არსებული ვალდებულებების დაფარვას. გარდა ამისა, შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს“-მა დაადასტურა, რომ აქვს შესაძლებლობა და სურვილი, გააგრძელოს დამატებითი სახსრების გამოყოფა, რაც კომპანიას დასჭირდება თავისი საქმიანობისთვის და რომ არ აპირებს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ვალდებულებების დაფარვის მოთხოვნას, სულ მცირე, პროგნოზებში მოცემული პერიოდის განმავლობაში. ისევე, როგორც წესისმიერი კომპანია, რომელიც სხვა ჯგუფის საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას, ეყრდნობა, კომპანიის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეს მხარდაჭერა გაგრძელდება, თუმცა, ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, მას არ აქვს საპირისპიროს ვარაუდის მიზეზი.

შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანიას საკმარისი ფულადი სახსრები ექნება, რომ გააგრძელოს თავისი ვალდებულებების დროულად შესრულება მინიმუმ ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში და ამიტომ ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებული აქვს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა კომპანიის უნართან დაკავშირებით, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

(ა) ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად გამოიყენა რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული). კომპანიას ვადადმდე არ გამოუყენებია სხვა ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში – საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში

ცვლილებები ფასს 16-ში აზუსტებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გამყიდველი-მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში, რათა გამყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას.
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის წარდგენა მაშინ, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმოდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადაავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდობის რისკის მოცულობაზე. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრული საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად. გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგებაზე ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები. ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. ჯგუფი აგრძელებს იმის შეფასებას, ევალება თუ არა ფასს 19-ის გამოყენება და, თუ ევალება, როგორ და როდის გამოიყენოს ახალი სტანდარტი.

ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები და გაუმჯობესებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, სავარაუდოდ არ მოახდენს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს).
- ▶ წლიური გაუმჯობესებების მე-11 თავი (გამოცემული 2024 წლის 18 ივლისს)
- ▶ ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ფასს (IFRS) 9-ისა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს).

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის გადაყვანა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარია („ლარი“).

სხვაობები გარკვეული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სეზონის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია ფინანსურ შემოსავალსა და ფინანსურ დანახარჯებში. სეზონის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.8068 ლარი და 2.6894 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

(დ) ამონაგების აღიარება

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მოცემულია 5(გ) შენიშვნაში.

ფინანსური შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე ფინანსური შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ე) გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-9 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის ვალდებულება აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული ოპერაციები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ასეთი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება საოპერაციო გადასახადების სახით მოგების ან ზარალის საოპერაციო ხარჯებში.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა სახის საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია საოპერაციო ხარჯების კომპონენტად.

(ვ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ღირებულების ყოველგვარი გაუფასურება.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
საიჯარო ქონების გაუმჯობესება*	10
მაღაზიის აღჭურვილობა	4-10
სატრანსპორტო საშუალებები	4
კომპიუტერული აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა	3-4
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	4
სხვა	4

* საიჯარო ქონების გაუმჯობესების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, თუ ის უფრო ხანმოკლეა, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და აისახება საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგების გარდა, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურებაზე შესამოწმებლად აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის გაუქმება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ჯერ ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფზე) განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად და შემდეგ ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) არსებული სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

გაუფასურების ზარალი გუდვილთან მიმართებით არ არის გაუქმებული. სხვა აქტივებთან მიმართებით, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი გაუქმდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის გაუქმება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) მარაგები და გაყიდული საქონლის თვითღირებულება

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პირობებში, რასაც აკლდება სავარაუდო დასრულების დანახარჯები და გაყიდვის ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება შესაბამისობაშია ყველაზე გვიანდელი შესყიდვის ფასისა და ყველა დაკავშირებული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან. ეს მეთოდი მართებულია იმის გათვალისწინებით, რომ მარაგების ბრუნვა მაღალია და შედეგად მიღებული ღირებულებები უახლოვდება იმ ღირებულებებს, რომლებიც მიიღება ფიფო (პირველი შემოსავალში, პირველი გასვალში) მეთოდით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც გაიწევა მარაგების შესაძენად და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაიწევა მათ არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობაში მოსაყვანად და აკლდება მომწოდებლებთან შეთანხმებული სხვადასხვა სახის ფასდათმობები.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს მომწოდებლებისგან შესყიდვების წმინდა თვითღირებულებას, მას შემდეგ, რაც გამოაკლდება მომწოდებლებისგან მიღებული ფასდაკლებები, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და მასტიმულირებელი რეზერვები და დაკორექტირდება საწყისი და საბოლოო მარაგების შესაბამისად. სხვადასხვა სახის ფასდათმობა და რეზერვები მოიცავს ფასდათმობებს მოცულობის გამო, ზრდად ფასდათმობებს და სხვა საკომისიოებს და მიიღება საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით.

(კ) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს სამართლიანი ღირებულების შეფასებას როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყენებს საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულების კატეგორიზაცია ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, შეფასების მეთოდებში ამოსავალი მონაცემების გამოყენების მიხედვით:

- ▶ დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) საბაზრო მონაცემები.
- ▶ დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (არაემპირიული მონაცემები).

(ლ) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე შესაძლებელია, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი.

კომპანია აღიარებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეებს შორის გადატანას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ეს ცვლილება განხორციელდა. დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულებების შეფასებისას გაკეთებულ დაშვებებში ასახულია 18(ა) შენიშვნაში – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

4. შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო თარიღით. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში.

ინფორმაცია სადარიცხო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მე-2 შენიშვნა – ფუნქციონირებადი საწარმო: არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა საწარმოს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ,
- ▶ მე-5(გ) შენიშვნა – მომწოდებლებისგან მიღებული საკომისიოს აღიარება და კლასიფიცირება
- ▶ მე-10 შენიშვნა – ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განსაზღვრა, და
- ▶ მე-17 შენიშვნა – იჯარის ვადისა და დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრა.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გამოუვლენია ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები, რომლებსაც ახლავს მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ გამოიწვიოს არსებითი კორექტირება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

5. ამონაგები

(ა) ამონაგების ნაკადები

	2024	2023
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	789,080	804,828

(ბ) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების დეზაგრეგირება

მომდევნო ცხრილში, ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, ამონაგების ძირითადი წყაროების და ამონაგების აღიარების დროის მიხედვით.

	2024	2023
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	789,080	804,828
	789,080	804,828
პროდუქტების ტიპები		
საკვები პროდუქტები	706,433	722,902
არასაკვები პროდუქტები	80,274	79,927
სხვა მომსახურება	2,373	1,999
	789,080	804,828
ამონაგების აღიარების დრო		
დროის გარკვეულ მომენტში გადაცემული პროდუქტები	786,707	802,829
დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურება	2,373	1,999
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	789,080	804,828

5. ამონაგები (გაგრძელება)

(გ) შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების პოლიტიკა

ამონაგები განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. კომპანია ამონაგებს მაშინ აღიარებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს კლიენტს გადასცემს.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხასიათისა და დროულობის, გადახდის მნიშვნელოვანი თარიღების და შესაბამისი ამონაგების აღიარების პოლიტიკის შესახებ:

მომსახურების ტიპი	შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათი და დროულობა, მათ შორის, გადახდის მნიშვნელოვანი პირობები	ამონაგების აღიარება ფასს 15-ის მიხედვით	აღიარებული შემდეგ მუხლებში
საქონლის რეალიზაცია	ამ ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი მომხმარებლებზე მაღაზიებში იყიდება გაყიდვის დროს და ადგილზე. შესასრულებელი ვალდებულება კომპანიის მიერ სრულდება საქონლის გადაცემისას მომხმარებელზე გაყიდვის დროს და ადგილზე ნაღდი ფულით ან ბარათით გადახდის მიღებისთანავე.	ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელს მომხმარებელი მიიღებს. კომპანია ამონაგებად აღიარებს გარიგების ფასის იმ თანხას, რომელშიც არ შედის მესამე მხარეების სახელით შეგროვილი თანხები. ამონაგები არის გაყიდვის ღირებულება გაყიდვასთან დაკავშირებული ფასდაკლებების და ფასდათმობების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ.	აღიარებული ამონაგების სახით
პრომო აქციები და მერჩენდაიზინგის საკომისიო	ამ ხელშეკრულებების მიხედვით, საკომისიო ერიცხებათ მომწოდებლებს აქციების განმავლობაში მომწოდებლის პროდუქტებისთვის პრიორიტეტული სივრცის განაწილებისთვის. შესასრულებელი ვალდებულება სრულდება დროთა განმავლობაში მომწოდებლისთვის პრომოუშენის მომსახურების გაწევისას.	პრომო აქციები და მერჩენდაიზინგის საკომისიოები აღიარდება ყოველი თვის ბოლოს წინასწარ შეთანხმებული განაკვეთის გამოყენებით.	აღიარებული კრედიტის სახით გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, როგორც მომწოდებლის საკომისიოები, ფასდათმობები და ფასდაკლებები
მაღაზიის გახსნასთან დაკავშირებული საკომისიოები	ამ ხელშეკრულებების თანახმად, მიღებული საკომისიო უკავშირდება მაღაზიის გახსნის შემთხვევებს მომწოდებლებთან შეთანხმებით. საკომისიო არ ექვემდებარება შემდგომ პირობებს/მაღაზიის საქმიანობის შედეგებს და ამიტომ მისი აღიარება მაღაზიის გახსნისთანავე ხდება, რომელიც არის შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მომენტი.	მაღაზიის გახსნასთან დაკავშირებული საკომისიოს აღიარება ხდება მაღაზიის გახსნის დროს.	აღიარებული კრედიტის სახით გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, როგორც მომწოდებლის საკომისიოები, ფასდათმობები და ფასდაკლებები

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2024 და 2023 წლებში კომპანიამ წარმოადგინა საქონლის მთლიანი შესყიდვები თავის მომხმარებლებზე გადასაყიდად გაყიდვების დროს და ადგილზე, და კორექტირებები შეიტანა მარაგებში ცვლილებების, ასევე მომწოდებლის საკომისიოების, ფასდათმობების და ფასდაკლებების, მათ შორის პრომო აქციების და მერჩენდაიზინგისა თუ მაღაზიის გახსნასთან დაკავშირებული საკომისიოების შესაბამისად.

	2024	2023
შესყიდვები	(791,456)	(791,853)
მომწოდებლების საკომისიო, ფასდათმობები და ფასდაკლებები	171,853	154,432
ცვლილება მარაგებში	(895)	11,058
	(620,498)	(626,363)

7. საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	(67,598)	(62,731)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი (მე-10 შენიშვნა)	(21,845)	(17,185)
ცვალეზად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები (მე-17 შენიშვნა)	(16,798)	(17,328)
ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურებისა და საოფისე ინვენტარის ხარჯები	(13,861)	(11,537)
კომუნალური ხარჯები	(11,603)	(11,829)
მართვის მომსახურების ღირებულება	(7,083)	(2,639)
საბანკო მომსახურების საზღაური	(5,431)	(5,360)
რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება	(5,089)	(4,254)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა (მე-17 შენიშვნა)	(4,731)	(4,292)
„კარფურისთვის“ გადასახდელი ფრანშიზის გადასახადი	(4,748)	(4,355)
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	(4,289)	(4,682)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	(2,160)	(430)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი (ა)	(823)	(782)
მომსახურების საკომისიოს ხარჯები	(489)	(498)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა (ბ)	1,334	(4,681)
სხვა (გ)	(15,290)	(10,429)
	(180,504)	(163,012)

(ა) 2024 წელს კომპანიამ გადაიხადა აუდიტის გასამრჯელო 173 ლარის ოდენობით (2023 წ.: 175 ლარი).

(ბ) 2024 წელს კომპანიამ აღიარა მანამდე დარიცხული 2,482 ლარის (მე-9 შენიშვნა) საგადასახადო ჯარიმების გაუქმება (უკუგატარება), რომელიც დაკრედიტდა გადასახადებზე, მოგების გადასახადის გარდა, საოპერაციო ხარჯებში.

(გ) სხვა ხარჯები ძირითადად მოიცავს სამივლინებო ხარჯებს (თვითმფრინავის ბილეთები, სასტუმროს რეზერვაციები, ქონების დაზღვევა, ხელმძღვანელების განვითარების ხარჯები (თიმილიდინგი და სხვ.), კავშირგაბმულობა და სხვა ზოგადი ხარჯები.

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	2,593	2,097
ფინანსური შემოსავალი	2,593	2,097
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო		
ხარჯი (მე-15 შენიშვნა)	(18,427)	(9,512)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე (მე-17 შენიშვნა)	(979)	(1,070)
საპროცენტო ხარჯი საბანკო ოვერდრაფტებზე	(54)	(134)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(11,321)	(1,164)
ფინანსური დანახარჯები	(30,781)	(11,880)

9. გადასახადები

2024 და 2023 წლებში კომპანიას დივიდენდები არ გაუნაწილებია. 2023 წელს კომპანიამ აღიარა 5,469 ლარის დამატებითი მოგების გადასახადის ხარჯი, რაც წარმოადგენს მოგების გადასახადის სავარაუდო თანხას, რომელიც უკავშირდება გარკვეულ არსებულ სასესხო შეთანხმებებს 2020-2022 წლებში და რომელთა აღრიცხვა ექვექვემ დააყენა საქართველოს შემოსავლების სამსახურმა. ამასთან დაკავშირებული ჯარიმების სავარაუდო ოდენობა გაუტოლდა 2,482 ლარს და ისინი საოპერაციო ხარჯებში აღიარებული იქნა მუხლში – გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა. 2024 წელს შემოსავლების სამსახურმა გააუქმა თავისი თავდაპირველი გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებული ყველა გაანგარიშება. ამის შედეგად, კომპანიამ მოახდინა მოგების გადასახადის დარიცხული ხარჯებისა და მასთან დაკავშირებული ჯარიმების უკუგატარება, ჯამში 8,130 ათასი ლარის ოდენობით. 5,469 ათასი ლარის შესაბამისი უკუგატარება აღიარებული იქნა მოგების გადასახადის სარგებელში, ხოლო მანამდე დარიცხული 2,482 ათასი ლარის ჯარიმების უკუგატარება დაკრედიტდა გადასახადებზე, მოგების გადასახადის გარდა.

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საიჯარო ქონების გაუმჯობესება უკავშირდება იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებს. საიჯარო ხელშეკრულებების ვადა მერყეობს ხუთი წლიდან ათ წლამდე და შემდეგ ექვემდებარება განახლებას კომპანიასა და მეიჯარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ნიშნების ანალიზი და არ გამოუვლენია გაუფასურების ნიშნები, არც გარე და არც შიდა.

	საიჯარო ქონების გაუმჯო- ბისება	მალაზიების აღჭურ- ვილობა	სატრან- სპორტო საშუალებები	კომპიუ- ტერული აპარატურა და პროგრამ- ული უზრუნ- ველყოფა	საოფისე და სხვა აღჭურ- ვილობა	ავეჯი და მოწყობი- ლობები	სხვა	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი, 2023 წ.	105,615	29,946	218	18,903	816	5,438	2,568	163,504
შემოსვლები	12,716	6,380	81	4,692	75	1,629	–	25,573
გასვლები	(887)	(710)	–	(487)	(5)	(125)	–	(2,214)
31 დეკემბერი, 2023 წ.	117,444	35,616	299	23,108	886	6,942	2,568	186,863
შემოსვლები	7,142	3,505	–	3,957	92	609	–	15,305
გასვლები	(2,679)	(1,120)	–	(898)	(16)	(232)	–	(4,945)
31 დეკემბერი, 2024 წ.	121,907	38,001	299	26,167	962	7,319	2,568	197,223
ცვეთა და ამორტიზაცია								
1 იანვარი, 2023 წ.	(57,499)	(20,618)	(218)	(11,554)	(572)	(3,202)	(1,373)	(95,036)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(8,696)	(4,036)	(17)	(3,130)	(111)	(939)	(256)	(17,185)
გასვლისას ელიმინი- რებული	584	605	–	472	5	112	–	1,778
31 დეკემბერი, 2023 წ.	(65,611)	(24,049)	(235)	(14,212)	(678)	(4,029)	(1,629)	(110,443)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(9,830)	(6,064)	(20)	(4,336)	(117)	(1,221)	(257)	(21,845)
გასვლისას ელიმინი- რებული	1,021	957	–	674	14	119	–	2,785
31 დეკემბერი, 2024 წ.	(74,420)	(29,156)	(255)	(17,874)	(781)	(5,131)	(1,886)	(129,503)
საბალანსო ღირებულებები								
31 დეკემბერი, 2023 წ.	51,833	11,567	64	8,896	208	2,913	939	76,420
31 დეკემბერი, 2024 წ.	47,487	8,845	44	8,293	181	2,188	682	67,720

11. მარაგები

	2024	2023
გადასაყიდად გამიზნული საქონელი	92,520	96,067
ფასდათმობების შედეგად თვითღირებულების შემცირება	(8,669)	(9,361)
ჩამოფასება წმინდა გასაყიდ ღირებულებამდე	(1,994)	(2,218)
	81,857	84,488

კომპანია მარაგების მოძველების ანარიცხებს აფასებს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ერთეულების სიძველე, ბრუნვა და მომგებიანობა. ანარიცხები განისაზღვრა ერთეულების ხასიათიდან და დაძველებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, სპეციალური ანარიცხები შეიქმნა ინდივიდუალურად, როცა ეს ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად მიიჩნია.

12. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	2024	2023
საგადასახადო აქტივები	4,327	3,302
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	2,002	2,248
წინასწარ გაწეული ხარჯები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,106	1,778
	8,435	7,328

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
საბანკო ნაშთები	48,607	55,725
ბანკებისგან მისაღები გზაში მყოფი ფულადი სახსრები	7,028	6,422
ნაღდი ფული	1,136	1,346
	56,771	63,493

ნაღდი ფულის წარმოადგენს საკასო ოპერაციას მაღაზიების ცენტრალურ სალაროში და სალაროს ნაშთს. გზაში მყოფი ფულადი სახსრები, რომლებიც ბანკისგან არის მისაღები, წარმოადგენს დაუდასტურებელი ფულადი დეპოზიტების მიღებას მაღაზიებში და საკრედიტო ბარათით მიღებულ თანხებს, რომელთა კლირინგი ბანკს ჯერ არ განუხორციელებია. საბანკო ნაშთები წარმოადგენს მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე, ასევე მოკლევადიან ანბრებზე განთავსებულ თანხებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთებით.

კომპანიის საკრედიტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

14. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4,876 ლარს. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას. საწესდებო კაპიტალის მფლობელებს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღებისა და კომპანიაში წილის პროცენტულობის შესაბამისი რაოდენობის ხმის უფლება აქვთ.

14. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების იმ ნაშთით, რომელიც ასახულია კომპანიის ფასს-ების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დივიდენდები არ გამოცხადებულა გასანაწილებლად 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა სხვადასხვა გზით ცდილობს დადებითი კაპიტალის მიღწევას.

15. სესხები და ნასესხები სახსრები

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდობის რისკები დაწვრილებით აღწერილია მე-18 შენიშვნაში.

	2024	2023
მშობელი საწარმოსგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხი	239,148	209,415
	239,148	209,415
გრძელვადიანი	239,148	–
მიმდინარე	–	209,415

(ა) დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები

კომპანიამ გააფორმა სამი ინდივიდუალური არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება უშუალო მშობელ საწარმოსთან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულ ნასესხებ სახსრებს ჰქონდა მცოცავი განაკვეთი — 1 წლიან უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთს დამატებული საკრედიტო დეფოლტის სვოპის სპრედი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი კვარტალურად კაპიტალიზდება ნასესხები სახსრების ძირითად თანხაზე. ამის შედეგად, ხელმძღვანელობა კაპიტალიზებული პროცენტის დაფარვას აღრიცხავს ძირითადი თანხის დაფარვებად. ამასთანავე, ეს ნასესხები სახსრები არ მოიცავდა დაფარვის ფიქსირებულ ვადებს და, შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობამ აღნიშნული ნაშთები აღრიცხა, როგორც მოთხოვნამდე გადასახდელი (მე-18(გ) შენიშვნა).

2024 წელს კომპანიის ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა დამატებით შეთანხმებას თავის უშუალო მშობელ საწარმოსთან, რომლის მიხედვითაც კომპანიას დაევალა მთლიანი თანხის გადახდა, სამომავლო პროცენტის ჩათვლით, 2027 წლის 31 დეკემბრისთვის და განისაზღვრა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი — წელიწადში 8%-ის ოდენობით, რომელიც უახლოვდება ეფექტურ და საბაზრო საპროცენტო განაკვეთს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ხელმძღვანელობამ აღიარა უშუალო მშობელი საწარმოსგან ნასესხები სახსრები, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები, ვინაიდან მას აქვს უპირობო უფლება, გადაავადოს გადახდა 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

15. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ბ) ვალდებულებების ცვლილების დინამიკის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებთან

2024 წელსა და 2023 წელს კომპანიამ საქონლის შესყიდვისთვის თავისი მშობელი საწარმოსთვის გადასახდელი თანხების რეკლასიფიკაცია მოახდინა მშობელი საწარმოსგან მიღებულ სესხებად, მათი ბრუნვა აღრიცხა, როგორც არსებითი არაფულადი ოპერაციები და წარმოადგინა, როგორც მშობელი საწარმოს წინაშე ვალდებულებებიდან გადატანა ქვემოთ წარმოდგენილ ვალდებულებების ცვლილების დინამიკის შეჯერებაში საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებთან.

	1 იანვარი, 2024 წ.	დარიცხული პროცენტი	მშობელი საწარმოს წინაშე ვალდებუ- ლებებიდან გადატანა	გადახდილი ძირითადი თანხა	საკურსო სხვაობით განპირო- ბებული ზარალი	31 დეკემბერი, 2024 წ.
მშობელი საწარმოსგან მიღებული არაუზრუნველყოფი ლი სესხები	209,415	18,427	41,484	(40,953)	10,775	239,148
	1 იანვარი, 2023 წ.	დარიცხული პროცენტი	მშობელი საწარმოს წინაშე ვალდებუ- ლებებიდან გადატანა	გადახდილი ძირითადი თანხა	საკურსო სხვაობით განპირო- ბებული ზარალი	31 დეკემბერი, 2023 წ.
მშობელი საწარმოსგან მიღებული არაუზრუნველყოფი ლი სესხები	176,198	9,512	39,455	(16,022)	272	209,415

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
გადასაყიდ საქონელში გადასახდელი თანხები	155,746	157,872
დარიცხული ხარჯები	22,314	16,719
სხვა საქონელსა და მომსახურებაში გადასახდელი თანხები	2,419	8,039
სხვა ვალდებულებები	4,914	8,106
	185,393	190,736

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული კომპანიის სავალუტო და ლიკვიდობის რისკები აღწერილია მე-18 შენიშვნაში.

17. იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას საქართველოს მასშტაბით იჯარით აქვს აღებული შენობა-ნაგებობები მაღაზიების ქსელისთვის. ხელშეკრულებების თანახმად, იჯარის ვადა 5 წლიდან 10 წლამდეა. საიჯარო გადახდები დარეგულირებულია ამ საიჯარო ხელშეკრულებებით და ისინი ფიქსირებულია. აქტივების გამოყენების უფლების იჯარის ვადები და სასარგებლო მომსახურების ვადები 5-დან 10 წლამდე მერყეობს. იჯარებისთვის მინიმალური საიჯარო გადასახდელზე გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს კომპანიის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც 7%-დან 10%-მდეა.

17. იჯარა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია იმ იჯარების შესახებ, რომლებშიც კომპანია მოიჯარედ გამოდის და აღრიცხავს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას:

აქტივის გამოყენების უფლება

	მაღაზიის ფართობი	საოფისე ფართობი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი, 2023 წ.	7,648	–	–	7,648
ხელახალი შეფასება	636	–	–	636
შემოსვლები	4,421	1,578	–	5,999
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(3,766)	(526)	–	(4,292)
31 დეკემბერი, 2023 წ.	8,939	1,052	–	9,991
ხელახალი შეფასება	25	–	–	25
შემოსვლები	1,741	–	1,752	3,493
შეწყვეტა	(481)	–	–	(481)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(4,007)	(526)	(198)	(4,731)
31 დეკემბერი, 2024 წ.	6,217	526	1,554	8,297

საიჯარო ვალდებულებები

	2024	2023
1 იანვარი	11,567	9,190
ხელახალი შეფასება	25	636
შემოსვლები	3,493	5,999
შეწყვეტა	(480)	–
დარიცხული პროცენტი	979	1,070
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(5,166)	(4,258)
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	(979)	(1,070)
31 დეკემბერი	9,439	11,567
გრძელვადიანი	4,804	6,943
მიმდინარე	4,635	4,624

მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

	2024	2023
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი (მე-8, მე-17 შენიშვნები)	(979)	(1,070)
ცვეთის ხარჯი (მე-7 შენიშვნა)	(4,731)	(4,292)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არ არის ასახული საიჯარო ვალდებულების შეფასებაში (მე-7 შენიშვნა)	(16,798)	(17,328)
სულ	(22,508)	(22,690)

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული თანხები

	2024	2023
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული დაფარვები, რომელიც არ არის ასახული საიჯარო ვალდებულების შეფასებაში	16,798	17,328
იჯარის ძირითადი თანხის დასაფარად გასული მთლიანი ფულადი სახსრები	5,166	4,258
იჯარის პროცენტის გადასახდელად გასული მთლიანი ფულადი სახსრები	979	1,070

17. იჯარა (გაგრძელება)

იჯარის ვადის განსაზღვრა

კომპანია საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის აღსრულებადობის ფართო ინტერპრეტაციას ახდენს. იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის განსაზღვრას, გონივრულობის ფარგლებში, რომლის განმავლობაშიც გამოიყენება საიჯარო აქტივი. იჯარის ვადის განსაზღვრისას კომპანია ეყრდნობა ხელშეკრულებისა და საიჯარო აქტივის შესახებ უფრო ფართო ეკონომიკურ ინფორმაციას, და არა მხოლოდ ხელშეკრულების პირობებს და ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეკონომიკური სანქციები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებისადმი და მარეგულირებელ გარემოში მოსალოდნელი ცვლილებები.

იჯარის აღსრულებადობის ვადის განსაზღვრისას კომპანია ასევე ითვალისწინებს საიჯარო ქონების მოუხსნადი გაუმჯობესების, მიტოვების ან დემონტაჟის, ადგილმდებარეობის შეცვლის და სხვ. ხარჯებს.

მოიჯარეს ყველა იჯარის შეწყვეტა შეუძლია საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. კომპანიამ გააანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დაასკვნა, რომ იჯარის ვადა უდრის პერიოდს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა. შეფასების მეთოდის მიზანია განსაზღვროს სამართლიანი ღირებულება, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვის შედეგად მიღებულ ან ვალდებულების გადაცემის შედეგად გადახდილ თანხას ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი, რომელიც კომპანიამ გამოიყენა, არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გამოთვლილია ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო, გრძელვადიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საანგარიშგებო თარიღისთვის უახლოვდებოდა საბაზრო განაკვეთს.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად შემდეგი რისკები აქვს:

- საკრედიტო რისკი (იხ. 18 (გ) შენიშვნა),
- ლიკვიდობის რისკი (იხ. 18 (დ) შენიშვნა),
- საბაზრო რისკი (იხ. 18 (ე) შენიშვნა).

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის თითოეული ზემოაღნიშნული რისკის მოცულობისა და რისკის შეფასებისა და მართვის ამოცანების, პოლიტიკისა და პროცესების შესახებ.

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვის ჩარჩო

რეგიონულ გენერალურ მენეჯერს და რეგიონულ ფინანსურ მენეჯერს აქვთ საბოლოო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის ჩარჩოს შემუშავებასა და ზედამხედველობაზე. ფინანსური დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური მენეჯერის წინაშე, ხოლო ეს უკანასკნელი რეგულარულ ანგარიშებს წარუდგენს მშობელი საწარმოს დირექტორთა საბჭოს.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, და რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობები და კომპანიის საქმიანობა. კომპანია, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

(გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაპენტი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და, ძირითადად, წარმოიშობა კომპანიის ფულადი სახსრებისგან, რომლებიც განთავსებულია ბანკებში მიმდინარე ან მოთხოვნამდე ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო თარიღისთვის:

	2024	2023
საბანკო ნაშთები	48,607	55,725
ბანკებისგან მისაღები გზაში მყოფი ფულადი სახსრები	7,028	6,422
სულ	55,635	62,147

კომპანიას განთავსებული აქვს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ქართულ ბანკებში, რომელთაც „Fitch Rating“-ისგან მინიჭებული აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი „B“. ყველა ნაშთი არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული და მიეკუთვნება 1-ელი სტადიის დავალიანების კატეგორიას. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაპენტი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

(დ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე (იხ. ასევე 2(ბ) შენიშვნა).

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღებისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული და მოიცავს სავარაუდო პროცენტის გადახდებს:

31 დეკემბერი, 2024 წ.	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	12 თვემდე	1-2 წელი	2-5 წელი
სესხები და ნასესხები სახსრები	239,148	392,902	–	–	–	392,902
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	185,393	185,393	–	185,393	–	–
საიჯარო ვალდებულება	9,439	10,674	–	5,414	1,836	3,424
სულ	433,980	589,969	–	190,807	1,836	396,326

31 დეკემბერი, 2023 წ.	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	12 თვემდე	1-2 წელი	2-5 წელი
სესხები და ნასესხები სახსრები	209,415	209,415	209,415	–	–	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	190,736	190,736	–	190,736	–	–
საიჯარო ვალდებულება	11,567	13,336	–	5,784	5,933	1,619
სულ	411,718	413,487	209,415	196,520	5,933	1,619

ფულადი ნაკადების ვადები და თანხები, სავარაუდოდ, არ იქნება განსხვავებული ვადიანობის ანალიზში აღწერილისგან.

როგორც 2(ბ) შენიშვნაში აღინიშნა, შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს“-მა დაადასტურა თავისი განზრახვა, გააგრძელოს ფულადი სახსრების გამოყოფა კომპანიას საჭიროებისამებრ და რომ არ აპირებს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ვალდებულებების დაფარვის მოთხოვნას პროგნოზებში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

(ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორცაა სავალუტო კურსები და, საპროცენტო განაკვეთები, უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის დონის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია. კომპანია არ მიმართავს ჰეჯირებას მოგების ან ზარალის მერყეობის სამართავად.

(ი) სავალუტო რისკი

კომპანიას აქვს სავალუტო რისკი იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს, რომლებშიც გამოხატულია შესყიდვები და ნასესხები სახსრები და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია (ლარი). ვალუტები, რომელშიც ეს ოპერაციები მიმართადად გამოხატული, არის ევრო და აშშ დოლარი.

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურებოდა:

	აშშ დოლარში გამოხატული 2024	ევროში გამოხატული 2024	აშშ დოლარში გამოხატული 2023	ევროში გამოხატული 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	14	303	24
სესხები და ნასესხები სახსრები	(239,148)	–	(209,415)	–
სალიზინგო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,563)	–	–	–
	(3,587)	(655)	(3,873)	(710)
რისკის ნეტო ოდენობა	(244,284)	(641)	(212,985)	(686)

მგრძნობელობის ანალიზი

გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ლარის გამყარება/(გაუფასურება) 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებით, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და გაზრდიდა/(შემცირებდა) მოგებისა თუ ზარალის ოდენობას ქვემოთ მოცემული თანხებით. ანალიზი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება და უგულებელყოფს პროგნოზირებული ყიდვა-გაყიდვების გავლენას.

	მოგება ან ზარალი 31 დეკემბერი, 2024 წ.		მოგება ან ზარალი 31 დეკემბერი, 2023 წ.	
	ლარის გამყარება	ლარის გაუფასურება	ლარის გამყარება	ლარის გაუფასურება
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	24,428	(24,428)	21,298	(21,298)
ევრო (10%-იანი ცვლილება)	64	(64)	69	(69)

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხი) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის მქონე სესხი) შეცვლით. ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა იმის დასადგენად, კომპანიის ვალდებულებების რა ნაწილი უნდა იყოს ფიქსირებული და რა – ცვალებადი განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხებისა და ნასესხები სახსრების აღების დროს ხელმძღვანელობა ეყრდნობა თავის განსჯას იმის გადასაწყვეტად, ფიქსირებული თუ ცვალებადი განაკვეთი იქნება უფრო ხელსაყრელი კომპანიისთვის მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ვალდებულების დაფარვის თარიღამდე.

საანგარიშგებო თარიღებისთვის, კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების პროფილი ასეთი იყო:

	2024	2023
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	48,607	55,725
	48,607	55,725
ცვალებადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(239,148)	(209,415)
	(239,148)	(209,415)

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამიტომ ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღებისთვის არ მოახდენდა უარყოფით გავლენას მოგებაზე ან ზარალზე, ან საკუთარ კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვალეზადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო პუნქტით ცვლილება, რომელიც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის საკუთარ კაპიტალს და მოგებას ან ზარალს გაზრდიდა/(შემცირებდა) ქვემოთ მოცემული თანხებით. ეს ანალიზი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, განსაკუთრებით, სავალუტო კურსები მუდმივი რჩება.

	2024		2023	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
ცვალეზადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	(2,391)	2,391	(2,094)	2,094

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება კომპანიის ინტერპრეტაციისგან განსხვავდებოდეს და, თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წელს შემოსავლების სამსახურმა გააუქმა თავისი თავდაპირველი გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებული ყველა გაანგარიშება. ამის შედეგად, კომპანიამ მოახდინა მოგების გადასახადის დარიცხული ხარჯებისა და მასთან დაკავშირებული ჯარიმების უკუგატარება, ჯამში 7,951 ათასი ლარის ოდენობით. 5,469 ათასი ლარის შესაბამისი უკუგატარება აღიარებული იქნა მოგების გადასახადის სარგებელში, ხოლო მანამდე დარიცხული 2,482 ათასი ლარის ჯარიმების უკუგატარება დაკრედიტდა გადასახადებზე, მოგების გადასახადის გარდა. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია რამე ანარიცხები ან დარიცხული ვალდებულებები მოგების გადასახადთან და მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადებთან მიმართებით. (მე-9 შენიშვნა).

სასამართლო დავები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი ან საჩივარი აღიმართოს, ან სასამართლო დავა დაიწყოს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას, რომლებისთვისაც უკვე არ არის რეზერვები შექმნილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

კაპიტალური დაზანდების ვალდებულება

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა აღებული მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების გაწევის ვალდებულებები.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანია, ჩვეული საქმიანობის პირობებში, ახორციელებს ოპერაციებს სხვა საწარმოებთან, რაც შეესაბამება დაკავშირებული მხარის განმარტებას 24-ე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის – „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ – მიხედვით. ფასწარმოქმნის პოლიტიკას და ამ ოპერაციების პირობებს ამტკიცებს კომპანიის ხელმძღვანელობა და მათი განაკვეთები წინასწარ შეთანხმებულია. კომპანია ოპერაციებს ახორციელებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც ძირითადად მოიცავს მშობელ საწარმოს, ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოებს და საბოლოო ჰოლდინგურ კომპანიას და მის შვილობილ საწარმოებს (მფლობელთა ჯგუფი), ასევე თავისი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას ან მათი ოჯახის წევრებს.

(ა) მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

მფლობელთა ჯგუფის საბოლოო ჰოლდინგური კომპანია არის შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ კაპიტალი“, რომლის საბოლოო მფლობელია მაჯიდ ალ ფუტაიმის ოჯახის 9 წევრი, ხოლო საკონტროლო წილის მფლობელია თარიქ ალ ფუტაიმი.

ყველაზე სათავეში მდებარე მშობელი საწარმო, რომელიც უშვებს საჯაროდ ხელმისაწვდომ, ფასს-ის მიხედვით მომზადებულ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, არის შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰოლდინგი“. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰოლდინგის“ იურიდიული მისამართია სააბონენტო ყუთი 91100, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

(ბ) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის აგრეგირებული ანაზღაურება (2024 წ.: 5 პირი; 2023 წ.: 6 პირი) ასე გამოიყურება:

	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოები (ხელფასები და დანამატები, მათ შორის პრემიის ანარიცხები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები)	3,520	2,524
ანარიცხები თანამშრომლების შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოებისთვის	32	77
	3,552	2,601

(გ) დაკავშირებულ მხარეთა სხვა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციები, განსაკუთრებით ოპერაციები მშობელ საწარმოსთან, წლის განმავლობაში ასე გამოიყურებოდა:

	2024	2023
ნასესხები სახსრების დაფარვა (მე-15 შენიშვნა)	(40,953)	(16,022)
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი (მე-15 შენიშვნა)	(18,427)	(9,512)
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა	(29,654)	(23,737)
ფრანშიზის გადასახადი (მე-7 შენიშვნა)	(4,748)	(4,355)
მართვის მომსახურების ღირებულება (მე-7 შენიშვნა)	(7,083)	(2,639)
	2024	2023
მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხი		
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს“	239,148	209,415

ინფორმაცია მშობელი საწარმოსგან მიღებულ სესხებზე წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

2025 წლის 8 აგვისტო

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“

2024 წლის მმართველობითი ანგარიში

სარჩევი

გვერდი

1. კომპანიის შესახებ	3
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	3
3. კომპანიის ჯამური შემოსავლები და მნიშვნელოვანი აქტივები (ლარი '000).....	4
4. კომპანიის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები (ლარი '000).....	4
5. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა	5

1. კომპანიის შესახებ

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) 2011 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. კომპანია დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 404923749.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოში ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელის ფუნქციონირება და მართვაა. 2012 წლის სექტემბერში კომპანიამ გახსნა თვისი პირველი ჰიპერმარკეტი „კარფური“ თბილისში. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 6 ჰიპერმარკეტით, 19 სუპერმარკეტითა და 72 პატარა ფორმატის სუპერმარკეტით (2023 წელს ექვსი ჰიპერმარკეტი, 18 სუპერმარკეტი და 71 პატარა ფორმატის სუპერმარკეტი.)

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ნავთლუღის ქუჩა #8ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მიზანია საქართველოში არსებული საოჯახო პროდუქტების საუკეთესო ხარისხისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. კომპანიის სტრატეგია არის პროდუქტების ყველაზე დაბალ ფასად რეალიზაცია.

კომპანია არის შპს „Majid Al Futtaim Hypermarkets“-ის შვილობილი, რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფლობს 100%-იან წილს. კომპანიის დაფინანსება და საკრედიტო დამოკიდებულება შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფიდან მოდის. ამასთან, კომპანიის საქმიანობები მჭიდროდ არის დაკავშირებული შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან.

კომპანია აქტიურად ოპერირებს ელექტრონული კომერციის მიმართულებითაც. აქტიურად არის წარმოდგენილი გაყიდვების ციფრული არხით „გლოვოსთან“ და „ვოლტთან“ პარტნიორობით.

კომპანია აგრძელებს განვითარებას და მომავალშიც დაგეგმილია ქსელის კიდევ უფრო გაფართოვება, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო ე.წ. სუბფრენჩაიზის მიმართულების განვითარება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია მუდმივად ახდენს ახალი ლოკაციების, პარტნიორების მოძიებასა და შესწავლას საერთაშორისო კონსულტანტების ჩართულობით.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

კარფურმა 2024 წელს გახსნა 1 სუპერმარკეტი და 10 პატარა ფორმატის სუპერმარკეტი. 2024 წლის ბოლოსთვის მომხმარებელთა საერთო რაოდენობამ გადააჭარბა 34 მილიონს.

2024 წლის ბოლოსთვის კომპანია წარმოდგენილი იყო 97 ობიექტით:

- თბილისი - 2 ჰიპერმარკეტი;
- თბილისი- 15 სუპერმარკეტი;
- თბილისი- 60 პატარა სუპერმარკეტი;
- ბათუმი- 1 ჰიპერმარკეტი, 1 სუპერმარკეტი და 6 პატარა სუპერმარკეტი;
- ქუთაისი- 1 ჰიპერმარკეტი და 2 პატარა სუპერმარკეტი;
- რუსთავი - 1 ჰიპერმარკეტი და 1 პატარა სუპერმარკეტი;
- ფოთი- 1 სუპერმარკეტი;
- თელავი- 1 სუპერმარკეტი;
- მარნეული- 1 სუპერმარკეტი;
- ზუგდიდი- 1 სუპერმარკეტი;
- გორი- 1 ჰიპერმარკეტი და 1 პატარა სუპერმარკეტი;
- ზესტაფონი- 1 პატარა სუპერმარკეტი

კომპანიაში 2024 წლის ბოლოსთვის მუშაობდა 2,725 თანამშრომელი, მათ შორის, შესაბამის პოზიციებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც.

3. კომპანიის ჯამური შემოსავლები და მნიშვნელოვანი აქტივები (ლარი '000)

შემოსავალი		მარაგები	
2024	789,080	31 დეკემბერი 2024	81,857
2023	804,828	31 დეკემბერი 2023	84,488
ძირითადი საშუალებები		ფულადი სახსრები	
31 დეკემბერი 2024	67,720	31 დეკემბერი 2024	56,771
31 დეკემბერი 2023	76,420	31 დეკემბერი 2023	63,493

4. კომპანიის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები (ლარი '000)

შემოსავალი

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალიზაცია	786,707	802,829
სხვა მომსახურებები	2,373	1,999
	789,080	804,828

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(620,498)	(626,363)

საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
პერსონალის ხარჯი	(67,598)	(62,731)
ცვეთა და ამორტიზაცია	(21,845)	(17,185)
საიჯარო ხარჯი	(16,798)	(17,328)
კომუნალურები	(11,603)	(11,829)
შეკეთების და სხვა მიწოდების ხარჯები	(13,861)	(11,537)
ბანკის საკომისიოები	(5,431)	(5,360)
რეკლამა და პოპულარიზაცია	(5,089)	(4,254)
დაცვის ხარჯი	(4,289)	(4,682)
გადასახადები	1,334	(4,681)
სხვადასხვა საოპერაციო ხარჯი	(35,324)	(23,425)
	(180,504)	(163,012)

წმინდა ფინანსური ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
მოგებაში ან ზარალში აღიარებული საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთზე	2,593	2,097
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსავალი	-	-
ფინანსური შემოსავალი	2,593	2,097
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარის სესხებზე	(18,427)	(9,512)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(979)	(1,070)
საპროცენტო ხარჯი ბანკის ოვერდრაფტებზე	(54)	(134)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა დანაკარგი	(11,321)	(1,164)
ფინანსური ხარჯები	(30,781)	(11,880)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	(28,188)	(9,783)

სესხები და კრედიტები

არაუზრუნველყოფილი სესხი დედა კომპანიისგან

2024 წელი	2023 წელი
239,148	209,415

5. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

ხელმძღვანელობა იღებს სრულ პასუხისმგებლობას კომპანიის რისკის მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირების, ანალიზის, სათანადო რისკის შეზღუდვების, კონტროლის უზრუნველყოფის, რისკების მონიტორინგის და შეზღუდვების დაცვის მიზნით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა განიხილება რეგულარულად, საბაზრო პირობების და კომპანიის საქმიანობის ცვლილების ასახვის მიზნით. კომპანია, ტრეინინგისა და ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლს და ვალდებულებას.

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე აისახება საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებასა და დახვეწას.

მენეჯმენტი

გენერალურ მენეჯერს და ფინანსურ მენეჯერს აქვთ მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და მიმოხილვაზე. ფინანსური მენეჯერი ანგარიშვალდებულია

გენერალური მენეჯერის წინაშე, ხოლო ეს უკანასკნელი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს.

კარფურის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. რისკების დროულად იდენტიფიცირება და განეიტრალება. კომპანიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივი პერიოდულობით ახორციელებენ შიდა აუდიტს. გარდა ამისა, დამფუძნებელი კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილებაც ატარებს შემოწმებებს, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი შესაბამისი რისკები და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კონტროლი.

ქვემოთ ჩამოთვლილია კარფურის ის ძირითადი რისკები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება და შესაბამისად აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი. რისკების განეიტრალების მიზნით კომპანიას დაქირავებული ყავს როგორც შიდა სპეციალისტები, ასევე იყენებს გარე საკონსულტაციო მომსახურებასაც. კომპანია ახდენს საგადასახადო და იურიდიული გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას პოტენციური რისკების შემცირების მიზნით.

კიბერშეტევებით გამოწვეული რისკები

კარფურის საქმიანობა დამოკიდებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სიტემებზე. შესაბამისად კიბერშეტევებმა შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხებები კარფურის საქმიანობაში. კომპანია ახდენს ნახსენები სისტემების დაცვას როგორც შიდა ძალებით, ასევე დამფუძნებელ კომპანიაში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც ახორციელებენ კიბერშეტევების საფრთხის მუდმივ მონიტორინგს მრავალ ქვეყანაში და საფრთხის შემთხვევაში ხდება წინასწარი ინფორმირება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშობა კომპანიის სხვა მოთხოვნებიდან და ბანკებში მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე არსებული ფულადი სახსრებიდან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაიფარება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანია ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ისე კრიზისულ პერიოდში, დამატებითი დანაკარგების და კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული რისკის ეფექტურად მართვის მაგალითი კომპანიამ აჩვენა კოვიდ19-ის ვირუსთან დაკავშირებული საყოველთაო შეზღუდვების დაწესების პერიოდში, რა დროსაც შეძლო ადეკვატურად ემართა სხვადასხვა ოპერაციები, მიეღო შემოსავლები და ამავდროულად დაეფარა მიმდინარე ვალდებულებები, საოპერაციო ხარჯები, და სხვა. დამატებით დეტალები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით აღწერილია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 19 (დ) ში.

სავალუტო რისკი

კომპანია განიცდის სავალუტო რისკის გავლენას, რადგან არსებობს განსხვავება - შესყიდვების, სასესხო ვალდებულებების და კომპანიის გაყიდვების - სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. საერთაშორისო ოპერაციები უმეტესად დენომინირებულია ევროში და აშშ დოლარში.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტ ჯორჯიას“ 2024 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2025 წლის 8 აგვისტოს:

ფინანსური მენეჯერი
გრიგოლ წიქარიშვილი

გენერალური მენეჯერი
დავით ქარქაშაძე

კიბერშეტევებით გამოწვეული რისკები

კარფურის საქმიანობა დამოკიდებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სიტყმებზე. შესაბამისად კიბერშეტევებმა შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხებები კარფურის საქმიანობაში. კომპანია ახდენს ნახსენები სისტემების დაცვას როგორც შიდა ძალებით, ასევე დამფუძნებელ კომპანიაში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც ახორციელებენ კიბერშეტევების საფრთხის მუდმივ მონიტორინგს მრავალ ქვეყანაში და საფრთხის შემთხვევაში ხდება წინასწარი ინფორმირება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაქტენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშობა კომპანიის სხვა მოთხოვნებიდან და ბანკებში მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე არსებული ფულადი სახსრებიდან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაიფარება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანია ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ისე კრიზისულ პერიოდში, დამატებითი დანაკარგების და კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული რისკის ეფექტურად მართვის მაგალითი კომპანიამ აჩვენა კოვიდ-19-ის ვირუსთან დაკავშირებული საყოველთაო შეზღუდვების დაწესების პერიოდში, რა დროსაც შეძლო ადეკვატურად ემართა სხვადასხვა ოპერაციები, მიეღო შემოსავლები და ამავდროულად დაეფარა მიმდინარე ვალდებულებები, საოპერაციო ხარჯები, და სხვა. დამატებით დეტალები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით აღწერილია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 19 (დ) ში.

სავალუტო რისკი

კომპანია განიცდის სავალუტო რისკის გავლენას, რადგან არსებობს განსხვავება - შესყიდვების, სასესხო ვალდებულებების და კომპანიის გაყიდვების - სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. საერთაშორისო ოპერაციები უმეტესად დენომინირებულია ევროში და აშშ დოლარში.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტ ჯორჯიას“ 2024 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2025 წლის 8 აგვისტოს:

ფინანსური მენეჯერი
გრიგოლ წიქარიშვილი

გენერალური მენეჯერი
დავით ქარქაშაძე